




ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


“ქალაქ თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის
(www.tbilisi.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობის
მონიტორინგი”

16 მარტი 2011 წ.

ქალაქ თბილისის ოფიციალური ვებ-გვერდის
(www.tbilisi.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობა
IDFI პარამეტრების მიხედვით



ვებ-გვერდზე ინფორმაციის არსებობა/ხელმისაწვდომობა და წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შედარება 11 თემატური ბლოკის მიხედვით (186 შეფასების პარამეტრი)



ქ. თბილისის მერის ვებ-გვერდზე არ მოიძიება

1. ქ. თბილისის მერის კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მერის არჩევის წესის მოკლე აღწერა;
2. ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა (მათ შორის აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული ის დარგები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ვიცე-მერი, მერის მოადგილეების ფუნქციათა განაწილების შესაბამისად), მისი სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
3. ქ. თბილისის მერის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა (მათ შორის აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული ის დარგები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მერის მოადგილეები ფუნქციათა განაწილების შესაბამისად), მათი სამუშაო ელ-ფოსტები, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

The image shows a screenshot of the official website of the Mayor of Tbilisi. The top navigation bar is red with the word 'სიახლეები' (News) repeated in white. Below the navigation bar, there is a grey box containing the text 'ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)'. To the right of this box is a vertical navigation menu with the following items: 'მერი', 'ვიცე-მერი', 'მერის მოადგილეები', 'მერიის ადმინისტრაცია', 'გენერალური ინსპექცია', 'საქალაქო სამსახურები', 'თბილისის არქიტექტურა', 'ქონების მართვის სააგენტო', and 'საგანგებო სიტუაციების სააგენტო'. Below the grey box, there is a section for 'დავით წინიძე' (David Tsiniдзе), identified as 'ვიცე-მერი' (Deputy Mayor). To the right of his name is a photograph of him sitting at a desk. The website URL 'WWW.TBILISI.GOV.GE' is visible at the bottom of the photo.

ქ. თბილისის მერის ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული განყოფილება - „კონტაქტი“ სადაც მოყვანილი იქნებოდა:

1. ქ. თბილისის მერიის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა (აგრეთვე, წერილობითი მითითება, რომ კონკრეტული მისამართი წარმოადგენს მერიის ოფიციალურ მისაღებს);
2. ქ. თბილისის მერიის საფოსტო (მისამართი საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ელექტრონული ფოსტის მისამართები;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი და ქ. თბილისის მერიის ფაქსი;
4. ქ. თბილისის მერიის სისტემის სრული (გაშლილი) სარეკვიზიტო ცნობარი, რომელიც მოიცავს მერიის ადმინისტრაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის, მერიის სხვა სტრუქტურული დანაყოფების, ქ. თბილისის რაიონების გამგეობების, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქალაქო სამსახურების სატელეფონო ცნობარს - ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტები, ფაქსის ნომრები, საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ხელმძღვანელ პირთა მისაღებების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია), საფოსტო მისამართები ინდექსებით და ა. შ.

ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

1. მითითება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის შესახებ (საკონტაქტო ინფორმაცია, სახელი და გვარი, თანამდებობა).

2. საჯარო ინფორმაციის მიღების, მიღებაზე უარის თქმის კრიტერიუმები, ინფორმაციის მისაღებად საჭირო განაცხადის ფორმები და მიღების ვადები, ცნობები დახურული ინფორმაციის არსებობის შესახებ (ელექტრონული ან ტექსტური ფორმით);

საინტერესო ფაქტი : პროექტ “საჯარო მონაცემთა ბაზის- www.opendata.ge” ფარგლებში IDFI ცდილობდა დაკავშირებოდა მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს **ბ-ნ ოთარ ტატალაშვილს**. საკონტაქტო ინფორმაციის მიღებისათვის ინსტიტუტმა გამოიყენა მერიის ვებ-გვერდზე მითითებული ცხელი ხაზის ნომერი. დასმულ შეკითხვაზე პასუხად ოპერატორმა შეგვატყობინა, რომ ამ პიროვნებაზე ინფორმაცია მერიაში არ მოიპოვება.

მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების უფროსი

ნანა ქაჯაია



თანამშრომელი

ელისო გუდაგამე

მთავარი სპეციალისტი

ოთარ ტატალაშვილი



ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე, შესაბამის ქვე-განყოფილებაში „ხელისუფლება“, არ არსებობს :

ქვე-განყოფილება სათაურად „თბილისის მთავრობა“, რომელშიც მოყვანილი იქნება ქალაქ თბილისის მთავრობის სტრუქტურის სქემატური ნახატი, წევრთა შემადგენლობის კომპლექტაციისა და მათი გადადგომის წესის აღწერა, წევრების საკონტაქტო და სხვა რეკვიზიტები (ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფია და ა. შ.), მთავრობის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები;

თბილისის მერმა გიგი უგულავამ დედაქალაქის მთავრობის სხდომა გამართა

წყარო: თბილისის მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური

თბილისის მერს ახალი მოადგილე ჰყავს, გიორგი ცხაკაია დღეს ქალაქის მთავრობის წევრებს გიგი უგულავამ წარუდგინა. თბილისის მერის ახალი მოადგილე ქალაქის ეკონომიკური განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით იმუშავებს.

გიგი უგულავა: მინდა წარმოგიდგინოთ სიახლე, დღეიდან უკვე ოფიციალურად გიორგი ცხაკაია ჩვენთან ერთად დაიწყებს მუშაობას. ის სხვადასხვა თანამდებობებზეა ნამუშევარი, იყო ეკონომიკის მინისტრის მოადგილე და ძირითადად სწორედ რეგიონებთან ურთიერთობა და ასევე საერთაშორისო ინვესტორებთან ურთიერთობა ეხებოდა, შემდეგ შემოსავლების სამსახურს ხელმძღვანელობდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილებაა და მე მინდა ვთქვა, რომ ყველაზე რთული უწყება საბაჟო, რომელიც არა მარტო ჩვენთან, არამედ ტრადიციულად ყველა ქვეყანაში მაღალი რისკის შემცველია კორუფციის კუთხით, სწორედ გოგას ხელმძღვანელობის ქვეშ მოხდა ამ სფეროში ძირეული ცვლილებები და ეს უწყება გახდა ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე, რაც შეეხება თბილისის მერიისთვის, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის კარგი შენაძენი, ვინაიდან არის რიგი მიმართულებები, რომელიც გამოიერებას საჭიროებს, ეს პირველ რიგში ეხება ინვესტორებთან მუშაობას, ამ თვალსაზრისით მიუხედავად გარკვეული წინსვლისა ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.



ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

1. მერიის სისტემის სექმატური ნახატი (სტრუქტურული ხე).

2. ვებ-გვერდზე წარმოდგენილი მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულების შესახებ ინფორმაცია საგრძნობლად ნაკლებია: უმეტეს შემთხვევებში არ მოიძიება ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტები, ფაქსის ნომრები, საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია), სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა აღწერა და ა.შ.

3. ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობების და მუნიციპალური საწარმოების შესახებ ინფორმაცია საგრძნობლად ნაკლებია;

ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრების, მათი დანიშვნისა და საბჭოს კომპეტენციის შესახებ ცნობები, საკონტაქტო ან სხვა რეკვიზიტები. სხვა ინფორმაცია დაკავშირებული კომისიის საქმიანობასთან გარდა ოქმებისა. (კომისიის შემადგენლობა არ არის მოცემული არც არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე: www.architect.tbilisi.gov.ge) ვებ-გვერდზე არ მოიძიება საბჭოს დებულება და არც ბრძანებები საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ და ა.შ.;

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმები


იხილეთ ვრცლად...

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური კომისიის სხდომის ოქმები

იხილეთ ვრცლად...

ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არც ერთ შემთხვევაში არ მოიძიება მერიის საქმედიანობის ყოველწლიური ანგარიში;

ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ხელისუფლება“, ქვე-განყოფილებაში - „ათასწლეულის ანგარიში“ მოყვანილი ანგარიში ბუნდოვანია და არ იკითხება, სასურველია, რომ არსებობდეს ჩამოსატვირთი ვერსია:



თბილისის მერია საკმაოდ ბევრ პროგრამას და პროექტს ახორციელებდა და ახორციელებს. ზოგადად ვებ-გვერდზე მოიპოვება ამ პროგრამა/პროექტების ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა. თუმცა, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი ინფორმაცია განხორციელებული პროგრამა/პროექტების ფინანსურ ხარჯთაღრიცხვის შესახებ, განმახორციელებელი ორგანიზაციების აღწერა ან/და სხვა დეტალურ ინფორმაცია. იგივე შეიძლება ითქვას მიმდინარე ან დაგეგმილ პროგრამა/პროექტებზეც.

პროექტები	
<p>დაიწყე ბიზნესი მერიის მხარდაჭერით</p> <p>მიმდინარე</p>	
<p>საჩუქარი თბილისის მერისგან</p> <p>დასრულებული</p>	
<p>სტუდენტური დასაქმება</p> <p>დასრულებული</p>	
<p>შეღავათი მუნიციპალურ ტრანსპორტზე</p> <p>მიმდინარე</p>	
<p>საჩუქარი პენსიონერებს</p> <p>დასრულებული</p>	
<p>ერთად დავეგეგმოთ ბიუჯეტი</p> <p>დასრულებული</p>	

ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება განყოფილებები და შესაბამისი ინფორმაცია:

1. ქ. თბილისის მერიაში შემოსული-გასული კორესპონდენცია (ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა);
2. ქ. თბილისის მერიის კომპეტენციის სფეროში არსებული სტატისტიკური მონაცემები;
3. ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდს არ გააჩნია მიმართვის ან განცხადების საიტიდან გაგზავნისა და ახალი ამბების გამოწერის ფუნქცია;
4. ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდს განყოფილებაში „ხელისუფლება“, ქვე-განყოფილებაში „დებულებები“ მოყვანილი ქ. თბილისის მერიის დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით. ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილი დებულებების უმეტესობა ასევე მოცემულია ძველი მდგომარეობით;
5. სამართლებრივი აქტების სიმრავლიდან გამომდინარე სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას სამართლებრივი აქტების თემატური საძიებო სისტემა (ფილტრაცია დოკუმენტის მიღების თარიღის, დოკუმენტის ტიპის, საკვანძო სიტყვის და ა.შ. მიხედვით), სადაც მოყვანილი იქნება მუდმივად განახლებადი სამართლებრივი აქტები აუხლესი მდგომარეობით;
6. ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული განყოფილება და შესაბამისი ინფორმაცია ქ.თბილისის მერიაში არსებულ ვაკანსიების შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე საგრძნობლად გაართულებულია ინფორმაციის პიეზა და მთლიანობაში ნავიგაცია.

1. რეალობაში მოქმედებს 2 დამოუკიდებელი ვებ-გვერდი: www.tbilisi.gov.ge და www.new.tbilisi.gov.ge;
2. ამავე დროს, ვებ-გვერდის საძიებო სისტემა მოიპოვება მხოლოდ ერთ ვებ-გვერდზე;
3. არ არსებობს საიტის რუკა;
4. ახალი გვერდების გახსნა სხვადასხვა ფანჯრებში მნიშვნელოვნად ართულებს ნავიგაციას ვებ-პორტალზე;
5. მთავარ გვერდზე არსებულ ბანერების მეშვეობით ვებ-პორტალზე მოცემულია ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგრამ, ამავდროულად, შეუძლებელია იგივე ინფორმაციის ხილვა ვებ-გვერდის ნავიგაციის მთავარი პანელის მიხედვით.

მთლიანობაში ვებ-პორტალი ძალიან რთულად არის კონსტრუირებული;

ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია თბილისის მერიის ახალ ვებ-გვერდზე (www.new.tbilisi.gov.ge) მოსახლეობასთან პირდაპირი ელექტრონული კავშირის არსებობა. ახალი ამბების განყოფილებაში ასეთი ინტეგრირებული ფუნქცია ჯერ-ჯერობით არც ერთ სხვა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე არ არსებობს. თუმცა მიუხედავად მოსახლეობის აქტიურობისა და ჩართულობის გამომხაურების ხარისხი საკმაოდ მწირია ან სრულიად არ არსებობს.

მდზგოლების მიგება	05.03.2011
მაქვს კატეგორიები და არ მიმუშავია ხაზზე, როგორ შეიძლება სამუშაოს დაწყება	
ვეფხო	05.03.2011
მაქვს კატეგორიები და როგორ შემიძლია სამუშაოს დაწყება?!	
ვანო	05.03.2011
მაქვს ყველა კატეგორია ბ.ც.დ.ე. მინდა ახალ სამარშუტო ტაქსზე მუშაობის დაწყება, გთხოვთ დამაკვალიანოთ ვის მივმართო.	
მამუკა	06.03.2011
ვარ 1 კატეგორიის მძღოლი, როგორ დავიწყო მერიის მიკროავტობუსებზე მუშაობა	
გოჩა	09.03.2011
მაქვს კატეგორიები "ბ" "ც" "დ" "ე" პატარა გამოცდილება ხაზზე მუშაობის, როგორ	
გოჩა	09.03.2011
მოგხვდეთ ამ სამსახურში????????????	

“IDFI” გამოთქვამს იმედს, რომ თბილისის მერიის ახალ ვებ-პორტალზე აღმოფხვრილი იქნება მოცემული ტექნიკური და შინაარსობრივი ნაკლოვანებები და მზად არის ითანამშრომლოს ქალაქ თბილისის მერიასთან რეკომენდაციებისა და შესაბამისი კონსულტაციების მიწოდების გზით.

The image shows a screenshot of the Tbilisi.gov.ge website. At the top left is the Tbilisi logo and the text "Tbilisi.gov.ge". On the right side of the header, there are settings for "Site Font" (Arial), "Site Font-Size" (Medium), and "Site Resolution" (Small). Below the header is a navigation bar with tabs: "მთავარი", "შენი ქალაქი", "გზამკვლევი", "ზელისუფლება", and "ბიზნესი". The main content area is divided into two columns. The left column features a video player titled "პროექტები" showing a view of a town with a church. The right column features a video player titled "გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა" in "LIVE" mode, showing a street scene. Below the second video player is a search bar with the text "ბაღის ნომერი" and "ბაღის სახელი". At the bottom of the page, there is a footer with social media icons for YouTube, Facebook, and Twitter, and a search bar with the text "ძებნა...".

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



დიდი მადლობა!